მანანა გიორგის ას. ლეკბორაშვილი, კინომცოდნე, კინოკრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი (2005). სადისერტაციო ნაშრომის თემა: სამოცი-სამოცდაათიანი წლების ქართული კინოს ჟანრული ტენდენციები

დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1977-1983) და მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი, სასცენარო-კინომცოდნეობის ფაკულტეტი, კინომცოდნის სპეციალობით (1988-1993)

1986-1990 წლებში მუშაობდა კინოსტუდია "ქართულ ფილმში", რეჟისორის ასისტენტად და მეორე რეჟისორად. 1990 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობებზე (კინოკაბინეტის გამგე, პედაგოგი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი). პარალელურად წლების განმავლობაში კითხულობს სალექციო კურსებს საქართველოს ტექნიკურსა და ქართულ ევროპულ უნივერსიტეტებში.

არის წიგნის "საზღვარგარეთის კინოს ისტორია" (ლექციების კურსი, 2004) და 20-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.